ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03. 3722313001**
თარიღი:**09/11/2022**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ

მიმდინარე წლის 4 ნოემბერს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N17 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა 2022 წლის ბიუჯეტი, რომელიც განისაზღვრა 27 814,0 ათ. ლარით. მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად, პირველი ოქტომბრის მდგომარეობით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 61371,7 ათასი ლარით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა წინა წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 32956,3 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 58,51%-ია, ხოლო ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 29595,38 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 48,22%-ია.

კომისიამ იმსჯელა 2022 წლის მესამე კვარტალის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის შესრულების პროცესი ხასიათდება სტაბილურობით. შესაბამისია ხარჯების დინამიკაც. შემოსავლებისა და გადასახდელების ასეთი პროპორცია მუნიციპალიტეტის წლიური ფისკალური გეგმის წარმატებით შესრულების საფუძველს ქმნის.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს განსახილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი